საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება **N01-76**/ნ

6 სექტემბერი **2021 წ.**

ქ. თბილისი

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების დამტკიცების შესახებ

„სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლო - ემბლემა თანდართული სახით.

2. ემბლემა წარმოადგენს მეწამული არშიით გარშემოვლებულ ჰერალდიკურ ფარს, რომლის ვერცხლის ველზე გამოსახულია ჯვრისა და წამლის კაფსულის სტილიზებული შერწყმით მიღებული ფიგურა.

3. ამ ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების გამოყენება (აღმართვა, გამოფენა, გამოსახვა და აშ.) ხდება სააგენტოს საქმიანობის ფარგლებში და მიზნებისათვის, ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, ამ ბრძანებით დამტკიცებული სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების გამოყენების წესები, შესაძლებელია, დაზუსტდეს სააგენტოს დირექტორის გადაწყვეტილებით.

4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ოკუპირებული
ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრი

ეკატერინე ტიკარაძე

სამედიცინო და
ფარმაცევტული საქმიანობის
რეგულირების სააგენტო

აღწერილობა

სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის სააგენტოს ემბლემა წარმოადგენს მეწამული არშიით გარშემოვლებულ ჰერალდიკურ ფარს, რომლის ვერცხლის ველზე გამოსახულია ჯვრისა და წამლის კაფსულის სტილიზებული შერწყმით მიღებული ფიგურა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS FROM THE OCCUPIED TERRITORIES, LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო

LEPL REGULATION AGENCY FOR MEDICAL AND PHARMACEUTICAL ACTIVITIES

KA030222014108121

საქართველო, თბილისი 0119, აკ. წერეთლის გამზ. 144, ტელ; (+995 32) 2 72 53 84

144 AK. TSERETELI AVE, 0119, TBILISI, GEORGIA, TEL: (+995 32) 2 72 53 84

№ 02/13362

10 / სექტემბერი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტთან არსებული
ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს
თავმჯდომარეს, ბატონ მამუკა გონგაძეს

ბატონო მამუკა,

"სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის შესაბამისად, წარმოგიდგენთ "საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 6 სექტემბრის N01-76/ნ ბრძანებას.

დანართი 4 ფურცელი.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დირექტორი

ზაალ კაპანაძე

სამედიცინო და
ფარმაცევტული საქმიანობის
რეგულირების სააგენტო

აღწერილობა

სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის სააგენტოს ემბლემა წარმოადგენს მეწამული არშიით გარშემოვლებულ ჰერალდიკურ ფარს, რომლის ვერცხლის ველზე გამოსახულია ჯვრისა და წამლის კაფსულის სტილიზებული შერწყმით მიღებული ფიგურა.